საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 1172
13/04/2020

1172-09-2-202004131502

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-სთვის (ს/კ 433649322) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ (ს/კ 433 649 322) დირექტორმა დავით წულაძემ (კანცელარიის N309 ; 23.01.2020 .წ.) რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ ლანჩხუთში ,ჟორდანიას ქ N 76-ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობაში (ს/კ 27.06.52.002.01.500) სამახურეობრივი საჭიროებისათვის ფართების გამოყოფა. აღნიშნული ქონება ა(ა)იპ-ს ესაჭიროება საკუთარი ფუნქციების განხორციელებისათვის. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა ცენტრს სარგებლობაში გადაეცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ N 76-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობის (ს/კ 27.06.52.002.01.500) მესამე სართულზე მდებარე N20 (29 .52 კმ) და N21 (22.91 კვ.მ) ფართები; (სულ: 52.43 კვ.მ); ასევე ამავე შენობის პირველ სართულზე მდებარე N14 (18,38 კვ.მ); N15 (10,51 კვ.მ); N16 (35.20

კვ.მ); N17 (21.95 კვ.მ) N18 (22.54 კვ.მ) N19 (19.67 კვ.მ) და N20 (170.18 კვ.მ) ფართები (სულ: 298.43 კვ.მ).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელი რომ შეეშალოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის ფუნქციონირებას, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის
სამსახური

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 560
10/04/2020

560-09-3-202004101055

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ეკონომიკისა და ქონების მართვის

სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის 5 პუნქტის თანახმად,მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო,მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით,მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით,აუქციონის გარეშე გადასცემს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არსამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს.

მუნიციპალიტეტს წერილით მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის „(ს/კ 433 649 322) დირექტორმა დავით წულაძემ (კანცელარიის N309 ; 23.01.2020 .წ.) რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ ლანჩხუთში ,ჟორდანიას ქ N 76 მდებარე,მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობაში (ს/კ 27.06.52.002.01.501) სამახურეობრივი საჭიროებისათვის ფართების გამოყოფა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურეობის ცენტრს „ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით,სარგებლობის უფლებით,აუქციონის გარეშე,პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცეს ქალაქ ლანჩხუთში ჟორდანიას ქ N 76 მდებარე მუნიციპალურ საკუთრებში არსებული შენობის (ს/კ 27.06.52.002.01.501) მესამე სართულზე მდებარე N20 (29 .52 კმ). და N21 (22.91 კვ.მ) ფართები. (სულ:52.43 კვ.მ); ასევე ამავე შენობის პირველ სართულზე მდებარე N14(18,38 კვ.მ); N15 (10,51 კვ.მ);N16 (35.20 კვ.მ);N17 (21.95 კვ.მ) N18 (22.54 კვ.მ)N19 (19.67 კვ.მ) და N20 (170.18 კვ.მ) ფართები (სულ:298.43 კვ.მ).

შესაბამისი ქმედებების განსახორციელებლად საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება.

გთხოვთ,დაავალოთ იურიდიულ სამახურს სათანადო პროექტის მომზადება.

დანართი; 3 (სამი)ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ნაჭყებია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2020 წლის აპრილი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-სთვის (ს/კ 433649322) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22- ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ N 76-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობის (ს/კ 27.06.52.002.01.500) მესამე სართულზე მდებარე N20 (29 .52 კმ) და N21 (22.91 კვ.მ) ფართები; (სულ: 52.43 კვ.მ); ასევე ამავე შენობის პირველ სართულზე მდებარე N14 (18,38 კვ.მ); N15 (10,51 კვ.მ); N16 (35.20 კვ.მ); N17 (21.95 კვ.მ) N18 (22.54 კვ.მ) N19 (19.67 კვ.მ) და N20 (170.18 კვ.მ) ფართები (სულ: 298.43 კვ.მ).) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-სთვის (ს/კ 433649322) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე

შ.პ.ს. „ზეოიდი+“

ს/კ 27.06.52.002.01.500
შენობა №-1
I სართული



შენობის შიდა აზომვითი ნახაზი			
დამკვეთი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია		ზესტაფონი, ყერეთლის ქ. №8
მისამართი	ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. №-76		დირექტორი: მ.მუმლაძე
			შეასრულა: მ. მუმლაძე
პირველი სართულის ფართი	516.46 კვ.მ.		კომპ. უზრუნვ.: დ.მუმლაძე
			მასშტაბი 1:100 — 12.02.2020

შ.პ.ს. „ბეოიდი+“

ს/კ 27.06.52.002.01.500
შენობა №-1
III სართული



შენობის შიდა აზომვითი ნახაზი				
დამკვეთი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია		ზესტაფონი, ჭერეთლის ქ. №8	
მისამართი	ლანჩხუთი, ჯორდანიას ქ. №-76		დირექტორი	მ.მუმლაძე
მესამე სართულის ფართი	545.36 კვ.მ.		შესრულება	მ. მუმლაძე
			კომპ. უზრუნვ.	დ.მუმლაძე
			მასშტაბი 1:100	12.02.2020